



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



**ჰორიზონტის გაფართოება: გაუმჯობესებული არჩევანი**  
**ქალთა და გოგონათა პროფესიული და ეკონომიკური განვითარებისათვის**

**წლიური ანგარიში**  
**ANNUAL REPORT**

**2014-2015**

**Broadening Horizons: Improved Choices for**  
**Professional and Economic Development for Women and Girls**

ICCN-ს საკონტაქტო ინფორმაცია:  
 .....  
 მაცაბლის ქ#5, თბილისი, 0105  
 ტელ: (995 032) 2923 920  
 ფაქსი: (995 032) 2939 178  
 ელ ფოსტა: info@iccn.ge  
 www.iccn.ge

ICCN contact information:  
 .....  
 5 Machabeli Str; Tbilisi 0105, Georgia  
 Tel: (995 032) 2923 920  
 Fax: (995 032) 2939 178  
 E-mail: info@iccn.ge  
 www.iccn.ge

ანგარიში მომზადდა "კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის"(ICCN) მიერ, მერსი ქორფსთან თანამშრომლობით ამერიკელი ხალხის ვულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

The report is prepared by the "International Center on Conflict and Negotiation", (ICCN) in partnership with Mercy Corps, through the generous support of the American People, funded by United States Agency for International Development (USAID).



კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN), დამოუკიდებელი, არაკომერციული, არასამთავრობო კვლევითი და საგანმანათლებლო ინსტიტუტია, რომლის ერთ-ერთ მიზანს მშვიდობის შენება წარმოადგენს. ცენტრი, რომლის სათავე ოფისი თბილისშია, 1994 წელს პროფესორმა გიორგი ხუციშვილმა დააარსა ჯონ და ქეთრინ მაკარტურების ფონდის მხარდაჭერით. ცენტრი იკვლევს სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების მიზეზებს საქართველოსა და კავკასიის რეგიონში და მათი ესკალაციისა და მაპროვოცირებელ ფაქტორებს. ის ასწავლის და ხელს უწყობს აგრეთვე, მედიაციას (შუამავლობას) მოლაპარაკებებში და ავრცელებს ინფორმაციას მოლაპარაკებების თეორიულ პრინციპებსა და პრაქტიკულ უნარებზე. კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ინიციატივით პირველად შედგა დიალოგი აფხაზეთთან (1995), ოსებთან (1996) და რუსებთან (2008) აზრთა გაზიარების მიზნით სამოქალაქო საზოგადოებასა და ექსპერტებს შორის. 2004 წლიდან ცენტრი შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციის გლობალური ქსელის (GPPAC) წარმომადგენელია სამხრეთ კავკასიაში. ცენტრის საშუალებით მოხდა ახალგაზრდული კავშირების გაძლიერება მშვიდობის მშენებლობისა და ფასილიტაცია/მედიაციის უნარების გაძლიერებისა და ნდობის განმტკიცების ღონისძიებების (CBM) მეშვეობით სამშვიდობო ჟურნალისტიკის, ახალგაზრდა ლიდერების ჩართულობისა და მრავალმხრივი დიპლომატიის ფარგლებში. ამასთან, ცენტრმა საფუძველი ჩაუყარა სტამბოლის პროცესს (2008 წლის ნოემბერი) ქართველ და რუს ექსპერტებს შორის დიალოგის ხელშეწყობის და კრიზისიდან გამოსვლის გზების განხილვის მიზნით. მომდევნო წლებში ნათელი გახდა, რომ ამ მიზნების წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელი იყო სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, ადამიანის უფლებების ადვოკატირება და სხვა მნიშვნელოვანი აქტივობებთან ურთიერთობების გაღრმავება. ამ ბოლო წლებში, ცენტრის საქმიანობა უფრო მრავალფეროვანი გახდა და მან თანამშრომლობაც გააუმჯობესა სხვადასხვა მხარეებთან იმ მიზნით, რომ უფრო ძლიერი ზემოქმედება მოეხდინა შერჩეულ სამიზნე ჯგუფებთან ურთიერთმოქმედების გზით. ცენტრი ახალგაზრდა ექსპერტებს სთავაზობს სერტიფიცირებულ პროგრამას, სახელწოდებით "გიორგი ხუციშვილის სახელობის კონფლიქტების მართვისა და პრევენციის სამხრეთ კავკასიური სკოლა". პროექტის ფარგლებში ტარდება შვიდი მასტერკლასი. კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი ექვსი სახელმწიფოსგან შემდგარი კონსორციუმის წევრია, - არასამთავრობო ორგანიზაციები - დიალოგი პროგრესისთვის: ბელორუსია, უკრაინა, მოლდოვა, სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო. ამ პროექტს ხელმძღვანელობს ევროკავშირი და კონრად ადენაუერის ფონდი.

**მერსი ქორფსი (Mercy Corps)** საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციაა. ის 1979 წელს დაარსდა და დახმარებას უწევს ადამიანებს მთელს მსოფლიოში, რომ მათ პირველ რიგში დაამარცხონ სიღარიბე და შემდეგ, განვითარდნენ. ეს გახლავთ მერსი ქორფსის მიდგომის არსი: ჩვენ დახმარებას ვუწევთ მოსახლეობას იმაში, რომ კრიზისი საშუალებად აქციონ. მერსი ქორფსმა საქართველოში მუშაობა 2000 წელს დაიწყო იმ მიზნით, რომ სტაბილური და უსაფრთხო თემები შეექმნა კონფლიქტების ზემოქმედების გამო გაღარიბებულ რეგიონებში. ის ეხმარება ქართველ ფერმერებს პრობლემების ერთიანად მოგვარებაში ინტეგრირებული მიდგომის გამოყენებით და არ განიხილავს პრობლემებს ცალ-ცალკე და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ჩვენ დავაარსეთ სასოფლო მომსახურების ცენტრი, რომელიც მოსახლეობას და ფერმერებს მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე, უტარებს მათ ტრენინგებს და ეხმარება ბაზრებთან და მყიდველებთან კავშირების დამყარებაში.



ანგარიშის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია ICCN და მერსი ქორფსი. ის შესაძლოა, არ გამოხატავდეს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

The content is the responsibility of ICCN and Mercy Corps and does not necessarily reflect the view of USAID, the United States Government.

## პროგრამის ხელმძღვანელის მიმართვა



ძვირფასო პარტნიორებო და მეგობრებო,

სიამოვნებით წარმოგიდგენთ წლიურ ანგარიშს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამის, კერძოდ, „ჰორიზონტის გაფართოება: გაუმჯობესებული არჩევანი ქალთა და გოგონათა პროფესიული და ეკონომიკური განვითარებისათვის“, შედეგებზე, რომელსაც ახორციელებს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (წამყვანი ორგანიზაცია) და მერსი ქორფსი. (პარტნიორი). ჩვენი პროგრამა მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებზე წვდომა ქალებისა და გოგონებისთვის ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სამხრეთ-დასავლეთ მუნიციპალიტეტში. პროგრამის მთავარი მიზნების გარდა, თანამშრომელთა გუნდი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ უფრო დიდ შედეგებს მიაღწიოს ქალებისა და გოგონების პროფესიული და ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით. ვიმედოვნებ, რომ სიამოვნებით გაეცნობით ჩვენს საერთო მიღწევებს ბოლო წლის განმავლობაში. ჩვენ დიდი მოლოდინით ველით ახალი აქტივობების დაწყებას, რომელთა დახმარებით სამიზნე ჯგუფების წევრთა შესაძლებლობები მუდმივად გაძლიერდება.

მადლობას ვუხდით საქართველოს მთავრობას, კერძოდ კი, განათლებისა და მეცნიერების და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს და აგრეთვე, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტების ოფიციალურ პირებს ჩვენი და ჩვენი პროგრამის ერთსულოვანი მხარდაჭერისთვის. ასევე, მადლობას ვუხდით საქართველოში მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებს, სკოლების დირექტორებს, მასწავლებლებსა და ადგილობრივი თემების ლიდერებს, რომლებიც ერთგულად გვეხმარებოდნენ პროგრამის წარმატებით განხორციელებაში. ჩვენ იმედით შევყურებთ მომავალ წელს! მოგვადევნეთ თვალი ფეისბუქის გვერდზე:

<https://www.facebook.com/pages/International-Center-on-Conflict-and-Negotiation-ICCN>

პატივისცემით,  
ლალი ყიფშიძე  
პროგრამის ხელმძღვანელი

## პროგრამის შესახებ

### ჩვენი საქმიანობა

პროგრამა ჰორიზონტის გაფართოება: გაუმჯობესებული არჩევანი ქალთა და გოგონათა პროფესიული და ეკონომიკური განვითარებისათვის, ხორციელდება კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (ICCN) მიერ, მერსი ქორფსთან თანამშრომლობით და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამის საერთო მიზანია: ახალი პროფესიული და ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა ქალებისა და გოგონებისთვის, მათთვის აზროვნების ჰორიზონტის გაფართოების, გამოხატვის შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და ინფორმაციის და მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.

### სად ვმუშაობთ

პროგრამა ხორციელდება სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის 13 მუნიციპალიტეტში ისეთი პრობლემების მოსაგვარებლად, როგორცაა მაგალითად, თემისა თუ მუნიციპალიტეტის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება ან იქ შექმნილი საინფორმაციო ვაკუუმის დაძლევა ქალებისა და გოგონებისთვის, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN) მუშაობს ქალებთან და გოგონებთან, მერსი ქორფს-ის საქართველოს ოფისთან ერთად, რათა გაზარდოს მათი წვდომა და უფლებები საგანმანათლებლო და პროფესიულ ინფორმაციასა და შესაძლებლობებზე.



### მოსალოდნელი შედეგები

**ქვეყნის ცვლილება:**  
კაცი აღიარებს ქალის აქტიურ ჩართულობას საოჯახო მეურნეობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში; ქალები უფრო დარწმუნებულები არიან საკუთარ თავში და უფრო აქტიურად მონაწილეობენ სოციალურ, საჯარო და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

**ცვლილებები განწყობებში:**  
პროფესიების არჩევანის ბიჭები და გოგონები უფრო ნაკლებად ითვალისწინებენ გენდერულ სტერეოტიპებს; მასწავლებლები ფრთხილად აძლევენ რჩევებს თავიანთ მოსწავლეებს პროფესიების შერჩევას თუ მომავლის დაგეგმვისას

**ცვლილება ინსტიტუტებში:**  
ქალთა ოთახები ძლიერი და ფუნქციური იარაღია გენდერული თანასწორობისთვის ფოკუსით ქალების გაძლიერების მხარდაჭერაზე ადგილობრივ მმართველობაში. გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღსრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ.

**ცვლილება ურთიერთობებში:**  
გოგონებს, ბიჭებსა და ქალებს უფრო მეტი მხარდაჭერა აქვთ ოჯახის წევრებისგან მათ არჩევანთან დაკავშირებით და ამასთან, არჩევანის და გამოხატვის თავისუფლების მიმართ უფრო მეტი მიმდებლობაა

## პროგრამის მიზნები და კომპონენტები

### მთავარი მიზნებია:

- ცამეტ მუნიციპალიტეტში მცხოვრები 2 000 ქალი და გოგონა უფრო აქტიურად მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში თემისა და მუნიციპალიტეტის დონეზე;
- 3,000 ქალსა და გოგონას ცამეტ მუნიციპალიტეტში შეუძლიათ უფრო მეტად ინფორმირებული არჩევანის გაკეთება ინფორმაციასა და სერვისებზე განათლების, ტრენინგების, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების სფეროებში წვდომის გაზრდის გამო.

პროგრამა სამი კომპონენტისგან შედგება. ესენია:

1. ქალთა ოთახები;
2. კარიერული მომსახურება;
3. განათლება და სკოლები.

პირველი კომპონენტის ფარგლებში ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში დაარსდება ახალი მუნიციპალური სერვისი, ქალთა ოთახები, რომელიც ქალებსა და გოგონებს შესთავაზებს ინფორმაციასა და სერვისებს გენდერული ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით. ამას გარდა, ის შეასრულებს რესურსებისა და ინფორმაციის ცენტრის ფუნქციას მუნიციპალიტეტის სხვა სამსახურებისა და სააგენტოებისთვის და გარე ბაზრის აქტორებისთვისაც. ქალთა ოთახს გაუძღვება ამ მიზნით მომზადებული თანამშრომელი, რომელსაც მუნიციპალიტეტი გადაუხდის ხელფასს, ამას გარდა, ის დააჩქარებს მათ წვდომას სერვისებსა და ინფორმაციაზე. ქალთა ოთახში განთავსებულია ბიბლიოთეკა, აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით და იქვეა მოწყობილი ბავშვების კუთხეც სათამაშოებით, რათა ქალებმა მთელი ყურადღება მოსაძიებელ ინფორმაციას მიაპყრონ.

მეორე კომპონენტის ფარგლებში შეიქმნება განათლების, კარიერისა და შესაძლებლობების განვითარების ფონდი(ECF), პროგრამის ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობების შექმნას პროგრამის მეშვეობით. ფონდი მამდიებლებს სთავაზობს დიფერენცირებულ საგრანტო პროგრამებს მათი საჭიროებების გათვალისწინებით. ფონდს სამი სამიზნე ჯგუფი ჰყავს: 1. უფროსკლასელები (15-18 წლის); 2. სოფლად მცხოვრები ქალები; 3. ქალები. ყოველი ჯგუფი სხვადასხვა შეთავაზებას მიიღებს, მაგალითად, სკოლის მოსწავლეები დაფინანსებას ინიციატივების გასაძლიერებლად, სოფლად მცხოვრებელი ქალები სტაჟირების პროგრამას, მცირე ბიზნესის მხარდაჭერის იდეებს და ა.შ. ფონდის დანიშნულებაა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მოტივირებული ქალებისა და გოგონების ხელშეწყობა იმ მიზნით, რომ მათ გაიმდიდრონ კარიერის, განათლებისა და ეკონომიკური შესაძლებლობები.

მესამე კომპონენტი: სამიზნე მუნიციპალიტეტების სკოლების წარმომადგენლები აღიჭურვებიან აუცილებელი რესურსებით, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს დაეხმარონ თავიანთ მოსწავლეებს (გოგონებსა და ბიჭებს) ინფორმირებული, გამოსადეგი და შესაფერისი გადაწყვეტილების მიღებაში მომავალთან დაკავშირებით.

## ქალთა ოთახი

ქალთა ოთახს გაუძღვება ამ მიზნით მომზადებული თანამშრომელი, რომელსაც მუნიციპალიტეტი გადაუხდის ხელფასს, ამას გარდა, ის დააჩქარებს მათ წვდომას სერვისებსა და ინფორმაციაზე. ქალთა ოთახში განთავსებულია ბიბლიოთეკა, აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით და იქვეა მოწყობილი ბავშვების კუთხეც სათამაშოებით, რათა ქალებმა მთელი ყურადღება მოსაძიებელ ინფორმაციას მიაპყრონ.

ამჟამად, ქალთა ოთახები მუშაობს ქვემოთ ჩამოთვლილ მუნიციპალიტეტებში:

მუნიციპალიტეტი	რეგიონი	გახსნის თარიღი
თეთრიწყარო	ქვემოქართლი	2012
წალკა	ქვემოქართლი	2012
დმანისი	ქვემოქართლი	2012
რუსთავი	ქვემოქართლი	08.04.2015
მარნეული	ქვემოქართლი	23.03.2015
ბოლნისი	ქვემოქართლი	18.03.2015
ახალქალაქი	სამცხე-ჯავახეთი	10.12.2014
ასპინძა	სამცხე-ჯავახეთი	06.11.2014
ადიგენი	სამცხე-ჯავახეთი	23.01.2015
ნინოწმინდა	სამცხე-ჯავახეთი	09.09.2014
ბორჯომი	სამცხე-ჯავახეთი	25.11.2014

ქალთა ოთახი ბორჯომის მუნიციპალიტეტში აღჭურვამდე და შემდგომ



## ქალთა ოთახების საქმიანობა

პირველი კომპონენტის მიზანია გახსნას ქალთა ოთახები ცამეტ სამიზნე მუნიციპალიტეტში. ქვემო ქართლის სამ მუნიციპალიტეტში, კერძოდ: თეთრიწყაროში, წალკასა და დმანისში მერსი კორფსის პროგრამის ფარგლებში გახსნილი ქალთა ოთახები 2012 წლის ნოემბრიდან ემსახურებიან მსურველებს. პირველი ქალთა ოთახი პროგრამის, „პორიზონტის გაფართოება: გაუმჯობესებული არჩევანი ქალთა და გოგონათა პროფესიული და ეკონომიკური განვითარებისათვის“, ფარგლებში 2014 წლის 9 სექტემბერს გაიხსნა ნინოწმინდაში. საზეიმო ცერემონიალს ადგილობრივი მმართველობისა და მეზობელი მუნიციპალიტეტების ოფიციალური პირები, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მათ გარდა, ცერემონიალს დაესწრნენ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დირექტორის მოადგილე, ცენტრალური ხელისუფლებისა და მერსი კორფსის წარმომადგენლები. 2015 წლის 31 მაისისთვის გაფორმებულია მემორანდუმი ცამეტივე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში; შემუშავდა ქალთა ოთახების სტრატეგიაც. ამჟამად, გახსნილია და მუშაობს 11 ქალთა ოთახი.

### ძირითადი მიღწევები

- ქალთა 11 ოთახი მუშაობს სამიზნე მუნიციპალიტეტებში;
- შემუშავებულია ქალთა ოთახების სამოქმედო სტრატეგია;
- გაფორმებულია 13 მემორანდუმი ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებთან.

## ქალთა ოთახების საქმიანობა

ქალთა ოთახი -ახალი მუნიციპალური მომსახურებაა, რომელიც ფუნქციონირებს ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში. „ქალთა ოთახის“ მთავარი მიზანია კონსულტაციები გაუწიოს ქალებს და მის ვიზიტორებს იმ პროგრამებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ მუნიციპალიტეტებში ხორციელდება. საშუალოდ, წლიურად „ქალთა ოთახი“ 485 ვიზიტორს იღებს. ამას გარდა, აქ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლების, სტუდენტებისა და მენეჯერების მიერ ორგანიზებული შეხვედრები იმართება. მაგალითად, 2014 წლის სექტემბრიდან ქალთა ოთახებში ჩატარდა 42 შეხვედრა ისეთ თემებზე, როგორცაა, ქალთა ჩართულობა პოლიტიკასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, ოჯახური ძალადობა, მომავლის სოფლის მეურნეობა-ფერმერი, ტუბერკულოზი, ფელინგის სინდრომი, შიდსი, იმუნიზაცია, სოციალური პრობლემები, ადრეული ქორწინება, ქალთა ჩართულობა თემის ცხოვრებაში, რას ნიშნავს გენდერი, რეგიონული განვითარება, ადგილობრივი ინიციატივები ადგილობრივ დონეზე განვითარებისთვის და სხვ.

### ძირითადი მიღწევები

- ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა-42;
- ქალთა ოთახების ვიზიტორთა რაოდენობა- 1236.
- **408** ქალმა გაიარა სასწავლო კურსი.

ქალთა ოთახის გახსნის საზეიმო ცერემონიალი ნინოწმინდაში



ქალთა ოთახის გახსნის საზეიმო ცერემონიალი რუსთაველაში



### ტრენინგები ქალებისთვის

„ქალთა ოთახებში“ ჩატარდა ტრენინგები იმ თემებზე, რომელიც საბაზისო კვლევის შედეგად დადგინდა. აღნიშნული კვლევა პროგრამის ფარგლებში ჩატარდა და გამოავლინა ხუთი ყველაზე საჭირობო საკითხი სასწავლო კურსებისთვის. (თემების ჩამონათვალი იხილეთ ქვემოთ). ამჟამად, უკვე ჩატარებულია მცირე ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებული ტრენინგი ცამეტივე მუნიციპალიტეტში; ორგანიზაციულ მართვასა და შიდა საკომუნიკაციო სისტემებთან დაკავშირებული ტრენინგი სამცხე-ჯავახეთის ექვს მუნიციპალიტეტში, ხოლო გენდერულ საკითხებზე ტრენინგები ჩატარდა ბორჯომის, ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ახალქალაქის, წალკის, დმანისის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში. ახლა კი, მიმდინარეობს სასწავლო კურსები ადამიანის უფლებათა დაცვისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემატიკაზე. ქალთა ოთახების მენეჯერები აქტიურად არიან ჩართულნი ამ ტრენინგების დაგეგმვასა და ორგანიზებაში.

ტრენინგის თემა	მონაწილეთა რაოდენობა
1.გენდერული საკითხები და თანასწორობა;	139
2.ორგანიზაციული მართვა და შიდა საკომუნიკაციო სისტემები;	100
3.ადამიანის უფლებები, ქალთა უფლებები და დაცვის მექანიზმები;	87
4.ადგილობრივ საქმიანობაში მონაწილე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მოქალაქეები;	-
5.მცირე ბიზნესის განვითარება ქალებისთვის, ბიზნესის მართვა, მიკროსესხები და ბიზნეს-გეგმების შედგენის უნარების განვითარება.	211

## ქალთა ოთახის მენეჯერები

ნინო რუხაძე; მენეჯერი  
ახალციხე  
ტელ: 599154838  
ელფოსტა: [n.rukhadze2011@gmail.com](mailto:n.rukhadze2011@gmail.com)

ანაიდა სატურიანი; მენეჯერი  
ახალქალაქი  
ტელ: 595015349  
ელფოსტა: [anaida777777@mail.ru](mailto:anaida777777@mail.ru)

გაიანე სეროპიანი; მენეჯერი  
ნინოწმინდა  
ტელ: 592909218  
ელფოსტა: [gayane.seropyan@yahoo.com](mailto:gayane.seropyan@yahoo.com)

ქრისტინა პუტულინი; მენეჯერი  
ნინოწმინდა  
ტელ: 596960202  
ელფოსტა: [putulyn1986@mail.ru](mailto:putulyn1986@mail.ru)

მედეა ქავთარაძე; მენეჯერი  
ასპინძა  
ტელ: 595777160  
ელფოსტა: [medeateo@yahoo.com](mailto:medeateo@yahoo.com)

ლია კაპანაძე; მენეჯერი  
ადიგენი  
ტელ: 551552092  
ელფოსტა: [lia.kapanadze.15@mail.ru](mailto:lia.kapanadze.15@mail.ru)

ია ტლაშაძე; მენეჯერი  
ბორჯომი  
ტელ: 599740029  
ელფოსტა: [tlashadze62@mail.ru](mailto:tlashadze62@mail.ru)

ქეთევან მარტიაშვილი; მენეჯერი  
დმანისი  
ტელ: 599856709  
ელფოსტა: [martiashviliq@mail.ru](mailto:martiashviliq@mail.ru)

თინათინ ფრუიძე; მენეჯერი  
ბოლნისი  
ტელ: 551192949  
ელ ფოსტა: [bolnisisgo@gmail.com](mailto:bolnisisgo@gmail.com)

რიმა ოთარაშვილი; მენეჯერი  
მარნეული  
ტელ: 599262184  
ელფოსტა: [otarashvili.rima@mail.ru](mailto:otarashvili.rima@mail.ru)

მარიამ აბულაშვილი; მენეჯერი  
მარნეული  
ტელ: 598788478  
ელფოსტა: [abulashvili90@bk.ru](mailto:abulashvili90@bk.ru)

მანანა ჩიტაიშვილი; მენეჯერი  
თეთრიწყარო  
რუსთავი  
ტელ: 599484426  
ელფოსტა: [mananachitiashvili@mail.ru](mailto:mananachitiashvili@mail.ru)

საბინა მირზაევა; მენეჯერი  
რუსთავი  
ტელ: 593330315  
ელფოსტა: [Sabina\\_mirzaeva@list.ru](mailto:Sabina_mirzaeva@list.ru)

ნაზი კეკელიძე; მენეჯერი  
წალკა  
ტელ: 591512561  
ელფოსტა: [nazikekelidze85@gmail.com](mailto:nazikekelidze85@gmail.com)

სვეტა დარჩიაშვილი; მენეჯერი  
თეთრიწყარო  
ტელ: 595377570  
ელფოსტა: [svetadarchiashvili@gmail.com](mailto:svetadarchiashvili@gmail.com)

ნინო გუჯეჯიანი; მენეჯერი  
თეთრიწყარო  
ტელ: 551886601  
ელფოსტა: [nino.gujejani24@gmail.com](mailto:nino.gujejani24@gmail.com)

ლელა ბენდელიანი; მენეჯერი  
გარდაბანი  
ტელ: 599129812  
ელფოსტა: [Bendeliani.1963@mail.ru](mailto:Bendeliani.1963@mail.ru)



ბორჯომში ჩატარებული ტრენინგი, „მცირე ბიზნესის განვითარება“; ტრენინგის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა: „ტრენინგი ამ თემაზე აუცილებელია ქალებისთვის“.



მარნეულში ჩატარებული ტრენინგი, „მცირე ბიზნესის განვითარება“, - „ტრენინგი ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის. ვფიქრობ, რომ ის ცოდნა, რომელიც ამ სასწავლო კურსის დროს მივიღე, მცირე ბიზნესის დაწყებაში ნამდვილად დამეხმარება“. - აღნიშნავს ტრენინგის ერთ-ერთი მონაწილე.



ადიგენში ჩატარებული ტრენინგი, „მცირე ბიზნესის განვითარება“; - „ძალიან დიდი მადლობა, რომ ამ კურსზე დასწრების შესაძლებლობა მომეცა. ტრენინგი ძალიან სასარგებლო გამოდგა ჩემთვის“- აღნიშნავს ტრენინგის ერთ-ერთი მონაწილე.

ახალციხეში ჩატარებული ტრენინგი, - „მმართველობა, ადგილობრივი თვითმმართველობა და მოქალაქის ჩართულობა“.



ახალციხეში ჩატარებული ტრენინგი, - „მცირე ბიზნესის განვითარება“; - „ტრენინგი ამ თემაზე აუცილებელია ქალებისთვის“.



ახალციხეში ჩატარებული ტრენინგი, „ადამიანის და ქალთა უფლებები და დაცვის მექანიზმები“.



## განათლების, კარიერისა და შესაძლებლობების განვითარების ფონდი (ECF)

განათლების, კარიერისა და შესაძლებლობების განვითარების ფონდი (ECF) დახმარებას უწევს მოტივირებულ ქალებსა და გოგონებს ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში მათი დასაქმებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გამდიდრებაში. ფონდი ძირითადი პროგრამული ინსტრუმენტია იმისათვის, რომ პროგრამების მიერ უზრუნველყოფილი კავშირები და საქმიანობები გავრცელდეს გოგონებსა და ქალებზე სამიზნე მუნიციპალიტეტებში, რისი საშუალებაც მათ სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა არ ჰქონოდათ.

განათლების, კარიერისა და შესაძლებლობების განვითარების ფონდმა მოახდინა სამი სამიზნე ჯგუფის იდენტიფიცირება და თითოეული მათგანისთვის შექმნა შესატყვისი საგრანტო პროგრამები. ფონდმა საქმიანობა 2014 წლის ოქტომბრიდან დაიწყო.

სამიზნე ჯგუფი	გრანტის ოდენობა
უფროსკლასელი მოსწავლეები	50 – 250 აშშ დოლარი
სოფლად მცხოვრები ქალები	250–700 აშშ დოლარი
მეწარმე ქალები	2000 აშშ დოლარამდე

**სამიზნე ჯგუფი #1 / საშუალო სკოლის უფროსკლასელი მოსწავლეები (15-18 წლის)** - საშუალო სკოლის უფროსკლასელი მოსწავლეები მაღალი მოტივაციით, მისწრაფებებითა და ინტერესით კონკრეტულ პერსპექტივებში, მათ შორის შემოქმედებითი ნიჭით, როგორც არის მუსიკა, ენები და სხვ., დაჯილდოებული ახალგაზრდები. განათლების, კარიერისა და შესაძლებლობების განვითარების ფონდის საგრანტო პროგრამები მხარს დაუჭერს შემდეგ ინიციატივებს: (1) განათლება: წიგნები, მონაწილეობა სასწავლო და ტრენინგის პროგრამებში; სასწავლო ვიზიტები; (2) უნარებისა და ნიჭის განვითარება: მეცნიერების, მათემატიკის უფრო მაღალ დონეებთან შეხება, მუსიკალური ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა, ხელოვნებისა და ხელობის ნიმუშების შექმნა, ხატვა მასწავლებლების/მენტორების დახმარებით; (3) მგზავრობის ხარჯები: მონაწილეობა ექსკურსიებში, ეროვნულ გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში; მონაწილეობა ახალგაზრდულ ბანაკებში; სტიპენდიები.

**სამიზნე ჯგუფი #2 / სოფლად მცხოვრები ქალები** - ქალები, რომელთაც აქვთ მოტივაცია და დაინტერესებულნი არიან ეკონომიკური შესაძლებლობებით, მიიღებენ დახმარებას ფონდის მიერ ამ კატეგორიისთვის მინიჭებული თანხებიდან შემდეგი საშუალებებით: (1) ბიზნესის საკითხებში სპეციალური ტრენინგები; (2) მექანიზაციის უნარ-ჩვევების შეძენა; (3) ადგილობრივ ბიზნეს-საწარმოებში სტაჟირება; (4) მანქანის ტარების კურსები; (5) ფერმერული საქმიანობის განვითარება; (6) ბიზნესის განვითარება და სხვა შესაფერისი შესაძლებლობები ბიზნესში სპეციალური უნარ-ჩვევების ან ენების ცოდნის გასაუმჯობესებლად და დასაქმებისათვის არსებული ბარიერების გადასალახავად.

**სამიზნე ჯგუფი #3 / მეწარმე ქალები** - განათლების, კარიერისა და შესაძლებლობების განვითარების ფონდი მხარს უჭერს მეწარმე ქალების / ადგილობრივი ბიზნესების ინიციატივებს და გეგმებს. ფონდის მიერ ამ კატეგორიის ფარგლებში გრანტის მიმღებმა პირებმა შეიძლება მოიზიდონ თანაინვესტირება (არაფულადი ან ფულადი სახით) ადგილობრივი ბიზნეს-საწარმოებისგან ან მეწარმეებისგან, ანდა სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისგან.

## განათლების, კარიერისა და შესაძლებლობების განვითარების ფონდის საქმიანობა

### საგრანტო პროგრამა საშუალო სკოლის უფროსკლასელი მოსწავლეებისათვის

განათლების, კარიერისა და შესაძლებლობების განვითარების ფონდმა შეიმუშავა საგრანტო პროგრამა საშუალო სკოლის უფროსკლასელი მოსწავლეებისათვის ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. პროგრამის შესახებ 2014 წლის 25 ნოემბერს გამოცხადდა ქვემო ქართლის რეგიონის 7 მუნიციპალიტეტში და 2015 წლის 16 თებერვალს - სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. მასალების გავრცელებაში ფონდს დახმარებას საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები უწევდნენ. მოხდა 457-ზე მეტი სკოლის ინფორმირება. ფონდმა მიიღო სულ 79 განაცხადი: 45 ქვემო ქართლიდან, ხოლო 34 სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან. კომიტეტმა შეაფასა მონაწილეობის უფლების მქონე ყველა განაცხადი და დასაფინანსებლად დაამტკიცა 22 ქვემო ქართლიდან და 21 სამცხე-ჯავახეთიდან.

ექვსი პროექტი დაფინანსდა მარნეულის მუნიციპალიტეტში. აღნიშნულ პროექტებს შორისაა ინტელექტუალური კონკურსების ჩატარება უფროსკლასელ მოსწავლეებს შორის, მცხეთაში სასწავლო ვიზიტის ორგანიზება უფროსკლასელი აზერბაიჯანელი მოსწავლეებისათვის და მართვის მოწმობის ასაღებად კურსების დაფინანსება 4 გოგონასათვის სოფელი აღმამადლოდან. საგრანტო პროგრამაში ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღეს რუსთავის სკოლის უფროსკლასელმა მოსწავლეებმა და შედეგად გაიცა ხუთი გრანტი იმ პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც მიმართულია საგანმანათლებლო საქმიანობაზე, როგორც არის სამეცნიერო და მკითხველთა კლუბების ჩამოყალიბება. გარდაბნის მუნიციპალიტეტიდან დაფინანსდა ოთხი გრანტი. მათი პროექტები ფართო სპექტრის საქმიანობას მოიცავს, მაგალითად, ქიმიური ლაბორატორიის გაუმჯობესებას იმისათვის, რომ გამყარდეს მოსწავლეთა თეორიული ცოდნა პრაქტიკული სავარჯიშოების მეშვეობით, ასევე მკითხველთა კლუბის ჩამოყალიბებას თანამედროვე საზოგადოებაში წიგნის როლის შესახებ დისკუსიის წარმართვის მიზნით. ბოლნისის მუნიციპალიტეტში ორი გრანტი დაფინანსდა - პროექტისათვის, რომელიც მიზნად ისახავს ბოლნისის სკოლის 30-მდე მეთერთმეტე კლასელის საჯარო გამოსვლების და დებატების წარმართვის უნარების გაუმჯობესებას და ასევე სასკოლო გუნდის შექმნას და პედაგოგის დაქირავებას ბავშვებისა და ახალგაზრდების ეროვნული საგუნდო კონკურსისთვის მათ მოსამზადებლად. ორი გრანტი გაიცა დმანისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში. ორივე მუნიციპალიტეტში დაფინანსდა პროექტები, რომლებიც მიმართულია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობისკენ სპორტული ინვენტარის შეძენის მეშვეობით. გარდა ამისა, მე-12 კლასელები დმანისიდან ჩამოყალიბებენ მკითხველთა კლუბს. წალკის მუნიციპალიტეტში ფონდმა მხოლოდ ერთი გრანტი გასცა პროექტორის შესასყიდად და მოსწავლეთა ჯგუფის დასახმარებლად სხვადასხვა სასკოლო პროექტის მომზადებაში და ვიზუალურად ილუსტრირებაში. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ფონდმა 21 პროექტი დაამტკიცა დასაფინანსებლად, რომლებიც 2015 წლის ივნისში

#### ძირითადი მიღწევები

- საგრანტო პროგრამაში 197-მა უფროსკლასელმა მიიღო მონაწილეობა;
- მოხდა 457-ზე მეტი სკოლის ინფორმირება საგრანტო პროგრამის შესახებ;
- დასაფინანსებლად 43 პროექტი დამტკიცდა;
- საგრანტო პროგრამის წყალობით 52-მა უფროსკლასელმა მიიღო სარგებელი;
- გრანტების სახით გაიცა 4452 აშშ დოლარი.

## გაიცანით განათლების, კარიერისა და შესაძლებლობების განვითარების ფონდის გრანტის მიმღებები



**ელენე სუბელიანი, ბლუნისის** მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მე-11 კლასელი, ქვემო ქართლის რეგიონის ერთ-ერთი იმ 22 მოსწავლეთაგანია, რომლებმაც მიიღეს განათლების, კარიერისა და შესაძლებლობების განვითარების ფონდის (ECF) გრანტი. ელენე, თავის 30 თანატოლთან ერთად, ახორციელებს პროექტს „საჯარო გამოსვლის ხელოვნება“. პროექტის მიზანს წარმოადგენს

საჯარო გამოსვლების და დებატებისთვის და, ასევე, პროექტის წერილობით ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი უნარების გაუმჯობესება ტრენინგის დახმარებით. გარდა ამისა, ინსტრუქტორის დახმარებით ეს მოსწავლეები გაეცნობიან კარლ პოპერის დებატების წესებს. შეიქმნება მცირე ჯგუფები და დებატებში შეჯიბრის შედეგების მიხედვით საუკეთესო მოსწავლეები მიიღებენ გრანტებს და სერტიფიკატებს.



**დმანისის** მე-12 კლასის მოსწავლეებმა მიიღეს განათლების, კარიერისა და შესაძლებლობების განვითარების ფონდის გრანტი თავის სკოლაში მკითხველთა კლუბის ჩამოსაყალიბებლად, რომელსაც აქვს, ასე ვთქვათ, „კარცერ-ლუქსის“ დიზაინი, როგორც ეს აღწერილია გურამ დოჩანაშვილის მოთხრობაში „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.



ქეთევან გურასაშვილმა, მე-11 კლასის მოსწავლემ **რუსთავიდან**, წარმოადგინა პროექტი გენდერულ თანასწორობაზე. ამ საკითხზე ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით ქეთევანი, თავის 25 მეგობართან ერთად, ჩაატარებს ტრენინგს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით, მოამზადებს საინფორმაციო მასალას და გაავრცელებს მას სხვა სკოლებში თავის თანატოლებს შორის. გარდა ამისა, ისინი მოაწყობენ პატარა კონფერენციას გენდერული თანასწორობის საკითხებზე, რომელზეც თავს მოიყრიან მოსწავლეები სხვადასხვა სკოლიდან.

## გაიცანით ECF-ის გრანტის გამარჯვებულები

სოფო ნათენაძე, **გარდაბნის** მუნიციპალიტეტის მე-11 კლასის მოსწავლემ მიიღო ECF-ის დაფინანსება იმისათვის, რომ გაიმჯობესოს ფრანგული ენის ცოდნა. „მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ფონდს, რომ მომცა ფრანგულის ენის კურსებზე დასწრების საშუალება ფრანგული ენის ინსტიტუტში. მე ძალიან მომწონს ეს კურსი, რომელიც მეხმარება ცოდნის გაღრმავებაში. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო პროგრამას ახალგაზრდა ქალების მხარდაჭერისთვის და მათთვის ასეთი უნიკალური შესაძლებლობის მინიჭებისთვის.“

გოგონათა ჯგუფი გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. სართიჭალიდან დაფინანსდა ივანე ბერიტაშვილის სახელობის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის სამუშაოებზე დასასწრებად, სადაც ცენტრის წამყვანი სპეციალისტები წაუკითხავენ მათ ლექციებს ფიზიოლოგიური კვლევების მნიშვნელობაზე. გარდა ამისა, მოსწავლეები მოამზადებენ პროექტებს მოცემულ თემებზე და წარადგენენ მათ სამეცნიერო კონფერენციაზე.



ისმაილ სულიმანოვმა, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. **კასუმლოდან**, თავის 16 მეგობართან ერთად, მიიღო ECF-ის გრანტი მცხეთასა და თბილისში ექსკურსიის ორგანიზებისთვის. მათ მოინახულეს სვეტიცხოველი, ბებრის ციხე და მცხეთის სხვა ისტორიული ძეგლები. ეროვნული მუზეუმი და ძველი თბილისი იყო იმ ღირსშესანიშნაობებს შორის, რომლებიც მოინახულეს კასუმლოელმა ბავშვებმა.

თარანა ვალიევა სოფ. **კასუმლოდან** ECF-ის გრანტის კიდევ ერთი მიმღებია. მისი პროექტის მიზანს წარმოადგენდა ინტელექტუალური კონკურსის ჩატარება მეზობელი სოფლების - ბეთარაბჩის, ულაშოს, ბაითალოს და აღმამედლოს - უფროსკლასელებს შორის. თითოეული სოფელი წარმოდგენილი იყო 4-5 მოსწავლისგან შემდგარი უძლიერესი გუნდით. კონკურსის საბოლოო ტური გაიმართა სოფ. კასუმლოში, სადაც მოსწავლეებს მოუხდათ პასუხების გაცემა სხვადასხვა კატეგორიის კითხვებზე. გამარჯვებულ გუნდს გადაეცა თასი და წიგნები.





## განათლება და სკოლები

პროგრამა მუშაობს სკოლებთან სამიზნე რეგიონებში, კერძოდ, სამოქალაქო განათლების მასწავლებლებთან, რათა მიაწოდოს მათთვის აუცილებელი რესურსები და ინსტრუმენტები, რომლებიც მისცემს მათ შესაძლებლობას, დაეხმარონ საკუთარ მოსწავლეებს (გოგონებსა და ბიჭებს) კვალიფიციური, ინფორმაციაზე დამყარებული და თანასწორი გადაწყვეტილებების მიღებაში მათ მომავალთან დაკავშირებით. პროგრამის ფარგლებში მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან მუშაობა 2014 წლის ოქტომბრიდან დაიწყო და სამიზნე ჯგუფში 35 სკოლა შევიდა - 17 სკოლა ქვემო ქართლის და 18 სკოლა სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში (2-3 სკოლა თითოეული სამიზნე მუნიციპალიტეტიდან) - იდენტიფიცირებული იქნა საზოგადოებრივი მეცნიერებების 35 მასწავლებელი, რომლებიც შეასრულებენ კოორდინატორების ფუნქციას საკუთარ მუნიციპალიტეტებში. ჩატარდა შეხვედრები სკოლების დირექტორებთან და მასწავლებლებთან, გარდა ამისა, შეიქმნა კოორდინატორების მონაცემთა ბაზა. გოგონებისათვის მათ მომავალთან დაკავშირებით გონივრული, გენდერული სტერეოტიპებისაგან თავისუფალი გადაწყვეტილებების მიღებაში დახმარების გასაწევად პროგრამის ფარგლებში შეიქმნა პროფესიის მიღების შესაძლებლობებთან დაკავშირებული გაიდლაინი, რომელიც გადასცეს უფროსკლასელებს სამიზნე მუნიციპალიტეტებში. აღნიშნული გაიდლაინი იქნება სასარგებლო რესურსი, ვინაიდან შეიცავს ინფორმაციას პროფესიული კოლეჯებისა და უმაღლესი სასწავლებლების შესახებ, გაცვლითი პროგრამების ჩამონათვალს, უფასო ონლაინ საგანმანათლებლო რესურსებს.

### ძირითადი მიღწევები

- სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, რომელთაც ტრენინგი ჩაუტარდათ - **12**;
- იმ უფროსკლასელთა რაოდენობა, რომელთაც ინფორმაცია მიეწოდათ - **963**;
- შეიქმნა პროფესიის მიღების შესაძლებლობებთან დაკავშირებული გაიდლაინი.

## სკოლებში ჩატარებული აქტივობები



### საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელთათვის ჩატარებული ტრენინგი

ბოლნისის ქალთა ოთახში ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი „სკოლებში გენდერული სტერეოტიპებისგან თავისუფალი განათლებისა და განვითარების გარემოს შექმნა“ სამოქალაქო განათლების 12 მასწავლებლისათვის ქვემო ქართლის რეგიონიდან. ტრენინგის მონაწილეებმა სერტიფიკატები მიიღეს.

### გენდერული სტერეოტიპებისგან თავისუფალი არჩევანი

სამოქალაქო განათლების მასწავლებლებმა სამიზნე რეგიონების 10 სკოლიდან ჩატარეს გაკვეთილი, რომლის თემა იყო „გენდერული სტერეოტიპებისგან თავისუფალი არჩევანი“. მოსწავლეებმა ასევე მიიღეს გაიდლაინი, სადაც ჩამოთვლილია პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობები. ეს სკოლებია:

- წალკის მუნიციპალიტეტი – საჯარო სკოლა #1;
- წალკის მუნიციპალიტეტი – სოფელი ბეშთაშენის საჯარო სკოლა;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტი – სოფელი ყარაჯალის საჯარო სკოლა;
- ბოლნისის მუნიციპალიტეტი – სოფელი კაზრეთის საჯარო სკოლა;
- ბოლნისის მუნიციპალიტეტი – საჯარო სკოლა #1;
- რუსთავის მუნიციპალიტეტი – საჯარო სკოლა #5;
- რუსთავის მუნიციპალიტეტი – საჯარო სკოლა #15;
- რუსთავის მუნიციპალიტეტი – საჯარო სკოლა #16;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტი – საჯარო სკოლა #1;
- მარნეულის მუნიციპალიტეტი – საჯარო სკოლა #5;



გარდა ამისა, სოფელი კაზრეთის საშუალო სკოლის 20 უფროსკლასელს ჩაუტარდა ერთდღიანი ტრენინგი თემაზე „გენდერული თანასწორობა“.

## სკოლებში ჩატარებული აქტივობები

### საინფორმაციო შეხვედრები უფროსკლასელებთან

პროგრამის ფარგლებში შეიქმნა პროფესიის მიღების შესაძლებლობებთან დაკავშირებული გაიდლაინი, რომელიც გადაეცა უფროსკლასელებს სამიზნე მუნიციპალიტეტებში. საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა საჯარო სკოლაში სამიზნე მუნიციპალიტეტებში. ამ შეხვედრებში სულ 1156-მა უფროსკლასელმა მიიღო მონაწილეობა.

- სოფელი არალის საჯარო სკოლა, ადიგენის მუნიციპალიტეტი;
- სოფელი უდეს საჯარო სკოლა, ადიგენის მუნიციპალიტეტი;
- სოფელი ახალდაბის საჯარო სკოლა, ბორჯომის მუნიციპალიტეტი;
- საჯარო სკოლა #3, ბორჯომის მუნიციპალიტეტი;
- სოფელი დიდი დმანისის საჯარო სკოლა, დმანისის მუნიციპალიტეტი;
- საჯარო სკოლა #3, დმანისის მუნიციპალიტეტი.
- სხვა სკოლები;



## წარმატების ამსახველი ისტორიები

### თექვსმეტდღიანი მოძრაობა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ

პროგრამა „ჰორიზონტის გაფართოება: გაუმჯობესებული არჩევანი ქალთა და გოგონათა პროფესიული და ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ შეუერთდა 16-დღიან მოძრაობას გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც დაიწყო 25 ნოემბერს (ქალების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე) და გასტანა 10 დეკემბრის ჩათვლით (ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე). ამ კამპანიის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიება ჩატარდა.

- შეხვედრები სტუდენტებთან;

2014 წლის 11 ნოემბერს პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სემინარი „გენდერული სტერეოტიპები დასაქმებისას“, რომელსაც მოჰყვა დისკუსია. სემინარზე განხილული საკითხების გარდა მოსწავლეებმა იმსჯელეს ქალის როლზე ბიზნესში. აქედან გამომდინარე, გამოცხადდა კონკურსი თემაზე „ქალების ჩართულობა რეგიონში ბიზნესის განვითარებაში“ და 2015 წლის 11 მაისს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა (ილიაუნი) 14:00 სთ-ზე უმასპინძლა ილიაუნის ბიზნეს-სკოლის სტუდენტების მიერ წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმების პრეზენტაციას სტუდენტური კონკურსის „ქალების ჩართულობა რეგიონში ბიზნესის განვითარებაში“ ფარგლებში. ამ შეხვედრისას მეორე ეტაპის გამარჯვებულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს თავიანთი ბიზნეს-გეგმები და მიიღეს სერტიფიკატები. მთლიანობაში წარმოდგენილი იქნა 4 ბიზნეს-გეგმა. ამ იდეებს გაეცნობიან შესაბამის მუნიციპალიტეტებში.



- ტრენინგი უფროსკლასელებისთვის;



ქალთა ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16-დღიანი მოძრაობის ფარგლებში მოეწყო მთელი რიგი შეხვედრებისა უფროსკლასელებთან. ეს შეხვედრები ჩატარდა ადგილობრივი რესურს-ცენტრების და ქალთა ოთახების მენეჯერების დახმარებით. 2014 წლის 4 დეკემბერს რუსთავის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ცენტრში უფროსკლასელები დაესწრნენ სემინარს „გენდერული ძალადობა“. მსგავსი სემინარი ჩატარდა ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის და ასპინძის ქალთა ოთახისთვის. ამ

სემინარების განმავლობაში განიხილებოდა გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული საკითხები. სტუდენტების გარდა, დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა. საერთო ჯამში სემინარს დაესწრო 147 ბენეფიციარი. ამ სემინარზე დასწრების შემდეგ ასპინძის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა დაამზადეს პლაკატები და ბროშურები, სადაც ნაჩვენებია იყო გენდერული ძალადობის მათეული აღქმა.

განათლების, კარიერისა და შესაძლებლობების განვითარების ფონდმა დაიწყო უფასო სტაჟირების პროგრამა თეთრიწყაროს, დმანისისა და წალკის ქალთა ოთახებში. ეს პროგრამა თავიდან არ იყო დაგეგმილი ამ მუნიციპალიტეტისთვის, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის და ქალთა ოთახის მენეჯერის მოთხოვნის გათვალისწინებით ფონდმა ჩამოაყალიბა პროგრამა. გარდა ამისა, ფონდმა შექმნა სტაჟირების შესაძლებლობა თეთრიწყაროს და წალკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო /საკონსულტაციო სამსახურებში, დმანისის საკრებულოში და თეთრიწყაროს განათლების რესურს-ცენტრში.

პროგრამა დაიწყო 2014 წლის 15 სექტემბერს და დასრულდა 2014 წლის 15 ნოემბერს. ყველა სტაჟიორმა წარმატებით დაასრულა პროგრამა და მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი. ცხრა კანდიდატიდან ოთხი სტაჟირების პროგრამის დასრულების შემდეგ სამუშაოდ იქნა აყვანილი. ქ-ნმა ქეთევან ბახუტაშვილმა 2 თვე გაატარა თეთრიწყაროს ქალთა ოთახში და ამჟამად იგი მასწავლებელია ადგილობრივ სკოლაში. „სტაჟირების პროგრამამ მომცა შესაძლებლობა, გავმხდარიყავი საზოგადოების აქტიური წევრი. მე გავიუმჯობესე კომუნიკაციის უნარები ქალთა ოთახის სტუმრებთან, რაც ძალიან დამეხმარება მომავალში,“ - განაცხადა მან. ქ-ნი მზია თავართქილაძე კიდევ ერთი სტაჟიორია, რომელიც სტაჟირების დასრულების შემდეგ „ლიბერთი ბანკის“ ერთ-ერთი ფილიალის წარმომადგენელი გახდა გამგეობაში. ამჟამად იგი „ლიბერთი ბანკის“ ადგილობრივი ფილიალის სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელია. კიდევ სხვა სტაჟიორი წალკის მუნიციპალიტეტიდან, თამთა ართმელიძე, „საქართველოს ბანკის“ წარმომადგენელია ადგილობრივ სამოქალაქო რეესტრში, ხოლო ბექა გვიჩიანს, რომელმაც 2 თვე გაატარა სოფლის მეურნეობის წალკის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო/საკონსულტაციო სამსახურში, ახლა უკავია სპეციალისტის თანამდებობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის, განათლების, სპორტის და კულტურის დეპარტამენტში.

**ქალთა ოთახების მენეჯერების ტრენინგი**

ჩვენი პროგრამის ფარგლებში დმანისის, თეთრიწყაროს და წალკის მუნიციპალიტეტების ქალთა ოთახების მენეჯერებმა გაიარეს შესაძლებლობათა განვითარების ორთვიანი კურსი და გაიფართოვეს კომუნიკაციის, მეწარმეობის უნარები და ბიუჯეტის შედგენის ცოდნა. კურსი ჩაატარა ქართულმა არაკომერციულმა ორგანიზაციამ „საქართველოს საგანმანათლებლო ინიციატივების ასოციაცია“.



**სემინარი „ოჯახში გენდერული ძალადობა“  
რუსთავის ქალთა ოთახში**



